**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

07 აგვისტო, 2026 წელი

# ბრძანება №01-02/150

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის", „ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 01 აპრილის №01-02/63 ბრძანების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის ელექტრონული საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 ივლისის №01-02/108 ბრძანების, „ბსუ-ს **2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/125 დადგენილების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის (ნუსხის) დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი 2026 წლის 07 აგვისტოს №01-55/06 **ბრძანებისა** და ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (07.08.2026 წ. №1025310) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართით** გათვალისწინებული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად **(სულ 61 ვაკანსია).**
2. გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში) **კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია** (წინამდებარე ბრძანების №2 დანართი); წინამდებარე ბრძანება, ასევე სამართლებრივი აქტები: ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი" (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/12, 12.02.2024 წ.); ბსუ-ს პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/42, 08.09.2023 წ.); ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა.
3. **განისაზღვროს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ვადები:**

ა) 2026 წლის 07 სექტემბრიდან 12 სექტემბრის (შაბათის) ჩათვლით, 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე დროის მონაკვეთში - **საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და შესაბამისი**

**დოკუმენტაციის წარმოდგენა,** მათ შორის ფაკულტეტების ვაკანსიების (**სულ 61**) მიხედვით, შემდეგ დღეებში:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 18) - **2026 წლის 07 -08 სექტემბერს;**
2. ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 7) - 2026 წლის **07 -08 სექტემბერს;**
3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 13) - **2026 წლის 09-10 სექტემბერს;**
4. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 8) - 2026 წლის **09-10 სექტემბერს;**
5. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 12) - 2026 წლის **11-12 სექტემბერს;**
6. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 3) - 2026 წლის **11-12 სექტემბერს.**

**(შენიშვნა:** კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, ბსუ-ს პორტალის მოდულში „აკადემიური პერსონალის კონკურსი“**- www.portal.bsu.edu.ge/jobs** და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში (ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია. საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენის შემდეგ, კონკურსანტმა **ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში** მატერიალური სახით **უნდა წარმოადგინოს** „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით“ გათვალისწინებული და წინამდებარე ბრძანების **№2 დანართში აღნიშნული დოკუმენტაცია);**

ბ) **2026 წლის 12 სექტემბერს** - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსდეს ინფორმაცია დადგენილ ვადებში დარეგისტრირებული კონკურსანტების შესახებ და **საკონკურსო მასალები გადაეცეს საკონკურსო კომისიას;**
გ) **2026 წლის 13-15 სექტემბერს** - ჩატარდეს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი (დოკუმენტაციის გადარჩევა/შეფასება, გასაუბრება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ფარული კენჭისყრით);
დ) არაუგვიანეს **2026 წლის 15 სექტემბერი** - საკონკურსო კომისიის **შემაჯამებელი ოქმი** (საბოლოო შედეგები) **გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე** და კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარედგინოს დასამტკიცებლად ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

4. აკადემიური პერსონალის ღია კონკურსის შედეგების ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემდეგ (არაუგვიანეს 2026 წლის 21 სექტემბერი) კონკურსში გამარჯვებულ **პირებთან დაიდოს შრომითი ხელშეკრულებები** ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების ვადებით და ამოქმედდეს 2026-2027 სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან - 2026 წლის 28 სექტემბრიდან.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აკადემიური საბჭოს სამდივნოს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე

*,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ"*
*ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 07 აგვისტოს №01-02/ 150 ბრძანების*
*დანართი №1*

*ბსუ-ს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი (სულ 61),*
*რომელთა დასაკავებლად (28.09.2026 წ.-დან) ცხადდება ღია კონკურსი*
*2026 წლის 07 აგვისტოს*

*1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები*

| № | ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები) | სულ | პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი | ასისტენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | რეგიონთმცოდნეობა | | 1 | | | | |
| | თურქული ლიტერატურა | | | | 1 | | |
| 2 | **ფილოსოფიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | ფილოსოფია | | | 1 | | | |
| | ფილოსოფია | | | | 1 | | |
| 3 | **ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 4 | | | | | |
| | ქართული ენა | | 1 | | | | |
| | ქართული ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდენობა | | | 1 | | | |
| | ჟურნალიტიკა | | | 1 | | | |
| | ქართული ენა | | | | 1 | | |
| 4 | **ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 5 | | | | | |
| | საქართველოს ისტორია | | 1 | | | | |
| | მსოფლიო ისტორია | | | 1 | | | |
| | მსოფლიო ისტორია | | | | 2 | | |
| | საქართველოს ისტორია | | | | 1 | | |
| 5 | **ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი** | 5 | | | | | |
| | გერმანული ფილოლოგია | | 1 | | | | |
| | ინგლისური ენა | | | 3 | | | |
| | ევროპული და ამერიკული ლიტერატურა | | | 1 | | | |
| | **სულ** | 18 ვაკანსია | 4 | 8 | 6 | | |

## *2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები*

| № | ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები) | სულ | პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი | ასისტენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი | 4 | | | | | |
| | მენეჯმენტი | | | 1 | 2 | | |
| | მარკეტინგი | | | 1 | | | |
| 2 | საფინასო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი | 4 | | | | | |
| | ფინანსები | | | 1 | 3 | | |
| 3 | ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტი | 4 | | | | | |
| | ეკონომიკა | | | | 4 | | |
| | სულ: | 12 ვაკანსია | | 3 | 9 | | |

## 3. *ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები*

| № | **ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი** (საკონკურსო მიმართულებები) | **სულ** | **პროფესორი** | **ასოცირებული პროფესორი** | **ასისტენტ-პროფესორი** | **ასისტენტი** | **შენიშვნა** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | ალგებრა და რიცხვითი თეორია | | | | 1 | | |
| | მათემატიკის საფუძვლები და მეთოდიკა | | | | 1 | | |
| 2 | **კომპიუტერული მეცნიერებათა დეპარტამენტი** | 1 | | | | | |
| | კომპიუტერული მეცნიერება | | | | 1 | | |
| 3 | **ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი** | 5 | | | | | |
| | ფრანგული ენა | | | | 1 | | |
| | ინგლისური ენა | | | 2 | | | |
| | ინგლისური ენა | | | | 2 | | |
| | **სულ** | **8 ვაკანსია** | | 2 | 6 | | |

## *4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები*

| № | ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები) | სულ | პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი | ასისტენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ქირურგიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | კლინიკური ქირურგია<br>„დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა“ (ინგლისურენოვანი)<br>**კლინიკური დისციპლინები** | | | 1 | | | |
| | ონკოქირურგია<br>**კლინიკური დისციპლინები** | | | | 1 | | |
| 2 | **კრიტიკული მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | ფუნქციური ანატომია<br>„დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა“ (ინგლისურენოვანი) | | | 1 | | | |
| | ფარმაკოლოგია<br>**კლინიკური დისციპლინები** | | | 1 | | | |
| 3 | **ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 3 | | | | | |
| | ბოტანიკა, ბიომრავალფეროვნება | | | 1 | | | |
| | მიკრობიოლოგია | | | 1 | | | |
| | გამოყენებითი ეკოლოგია | | 1 | | | | |
| 4 | **სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 1 | | | | | |
| | სტომატოლოგია<br>**კლინიკური დისციპლინები** | | | 1 | | | |
| 5 | **ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 1 | | | | | |
| | ქიმია | | | | 1 | | |
| 6 | **გეოგრაფიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 1 | | | | | |
| | გეოგრაფია | | | | 1 | | |
| 7 | **შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი** | 1 | | | | | |
| | ფარმაკოგნოზია | | | 1 | | | |
| 8 | **საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მტკიცებითი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | საბაზისო მედიცინა<br>„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა“ (ინგლისურენოვანი) | | | 2 | | | |
| | **სულ** | 13 ვაკანსია | 1 | 9 | 3 | | |

*5. ტექნოლოგიური ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები*

| № | ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები) | სულ | პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი | ასისტენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი** | 1 | | | | | |
| | აგრარული ტექნოლოგიები | | | 1 | | | |
| 2 | **აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | აგრარული ტექნოლოგიები | | | 2 | | | |
| | სულ | 3 ვაკანსია | | 3 | | | |

*6. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები*

| № | ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები) | სულ | პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი | ასისტენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტი** | 5 | | | | | |
| | საჯარო სამართალი | | | 1 | | | |
| | კერძო სამართალი | | | | | 1 | |
| | სისხლის სამართალი | | | | | 2 | |
| | საჯარო სამართალი | | | | | 1 | |
| 2 | **ფსიქოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი** | 2 | | | | | |
| | ფსიქოლოგია | | | | | 2 | |
| | სულ | 7 ვაკანსია | | 1 | | 6 | |

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 07 აგვისტოს №01-02/150 ბრძანების
დანართი №2

1. 2026 წლის 07 აგვისტოს გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბსუ“) **აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი** (ბსუ-ს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის **სულ 61** ვაკანტური თანამდებობა).

2. **კონკურსის ვადები** განისაზღვრა შემდეგნაირად:

   ა) 2026 წლის 07 სექტემბრიდან 12 სექტემბრის (შაბათის) ჩათვლით, **10:00 სთ-დან 17:00 საათამდე** დროის მონაკვეთში - საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ შორის ფაკულტეტების ვაკანსიების **(სულ 61)** მიხედვით შემდეგ დღეებში:

   1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 18) - 2026 წლის 07 -08 სექტემბერს;
   2. ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 7) - 2026 წლის **07 -08 სექტემბერს;**
   3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 13) - 2026 წლის **09-10 სექტემბერს;**
   4. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 8) - 2026 წლის **09-10 სექტემბერს;**
   5. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 12) - 2026 წლის 11-12 სექტემბერს;
   6. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ვაკანსიებზე (სულ 3) - 2026 წლის წლის 11-12 სექტემბერს;

   (**შენიშვნა**: კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, ბსუ-ს პორტალის მოდულში „აკადემიური პერსონალის კონკურსი“- www.portal.bsu.edu.ge/jobs და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში (ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია. საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენის შემდეგ, კონკურსანტმა ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით“ გათვალისწინებული და წინამდებარე ბრძანების N2 დანართში აღნიშნული დოკუმენტაცია);

ბ) **2026 წლის** 12 სექტემბერს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია დადგენილ ვადებში <u>დარეგისტრირებული კონკურსანტების</u> შესახებ და საკონკურსო მასალები გადაეცეს საკონკურსო კომისიას;

გ) **2026 წლის** 13-15 სექტემბერს - **ჩატარდება** აკადემიური პერსონალის **შესარჩევი კონკურსი** (დოკუმენტაციის გადარჩევა/შეფასება, გასაუბრება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით);

დ) <u>არაუგვიანეს</u> 2026 წლის 15 სექტემბრისა - საკონკურსო კომისიის **შემაჯამებელი** ოქმის (საბოლოო შედეგები) გამოქვეყნება ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) და კონკურსის შედეგების დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა.

3. **კონკურსის პირობებია:**

3.1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე **უვადოდ** შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის <u>არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:</u>

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ე) აქვს სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) მომზადებული აქვს შესაბამისი მიმართულებით სახელმძღვანელო;

ზ) თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.);

თ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

3.2. **პროფესორის** თანამდებობაზე **6 წლის ვადით** აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-

პედაგოგიური მუშაობის <u>არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:</u>

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1/Q2-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან არის დაფინანსებული სამაგისტრო/ სადოქტორო სამეცნიერო საგრანტო პროექტის კონსულტანტი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით სტუდენტს (ბაკალავრს, მაგისტრანტს, დოქტორანტს) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი;

ე) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ვ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

**3.3. ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე **5 წლის ვადით** აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის <u>არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:</u>

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ

საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი; ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი;

დ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ე) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტპროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

**3.4. ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობაზე **4 წლის ვადით** აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, <u>რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:</u>

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს ჯგუფში მუშაობის/ პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

**3.5. ასისტენტის** თანამდებობაზე **3 წლის ვადით** შეიძლება აირჩეს **დოქტორანტი.**

4. **მედიცინის ერთსაფეხურიანი** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის **კლინიკური დისციპლინების** განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **დამატებით განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები** (საკონკურსო პირობები):

**4.1. პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით <u>საექიმო საქმიანობის უფლება,</u> რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული <u>სერტიფიკატით;</u>

ბ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით <u>კლინიკაში მუშაობის</u> გამოცდილება, <u>არანაკლებ ბოლო 9 წლისა;</u>

**4.2. ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით <u>საექიმო საქმიანობის უფლება,</u> რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული <u>სერტიფიკატით;</u>

ბ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 5 წლისა;

**4.3. ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით;

ბ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 3 წლისა;

**4.4. ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად - კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით.

5. **სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის** ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით განსაზღვრულია **შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**5.1. პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 9 წელი;

**5.2. ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 5 წელი;

**5.3. ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 3 წელი;

**5.4. ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 3 წელი.

6. **მედიცინის** ერთსაფეხურიანი **ინგლისურენოვანი** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნად** განსაზღვრულია **ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (არანაკლებ B2 დონე),** რომელიც შესაძლებელია **დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმით:**

ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

7. **ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება დასაქმდეს** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

8. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილეობის მსურველი (შემდეგში - **კონკურსანტი) ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია** (საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) და აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები) **წარმოადგინოს** კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებაში აღნიშნული **საკონკურსო პირობების, ფორმატისა და ვადების დაცვით.**

9. **პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევმა კანდიდატმა **უნდა წარმოადგინოს:**

ა) საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) - შევსებული რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

დ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

ე) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი მინიმუმ ერთი სახელმძღვანელო/სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტარდება ლექცია (მხოლოდ პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა); ჯგუფში მუშაობის/ პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა (მხოლოდ ასისტენ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა);

ვ) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მედიცინის მიმართულებით განხორციელებული (ჩასატარებელი) კლინიკური კვლევების დამადასტურებელი ცნობა (მედიცინის

<u>მიმართულებით პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის</u> თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსატმა);)

თ) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე/ერთსაფეხურიანზე/ზოგადი განათლების მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე. ასისტენტ-პროფესორმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ სწავლების კონცეფცია, გარდა უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურისა;

ი) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

ლ) **ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე** ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული რომელიმე ან რამდენიმე კრიტერიუმების შესაბამისად) - სავალდებულოა წარმოსადგენად **ინგლისურენოვანი** პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტისათვის, ხოლო სხვა ვაკანტური თანამდებობის შემთხვევაში - სასურველია წარმოდგენილი იქნეს, თუკი კონკურსანტი უთითებს ინგლისური ენის ფლობის შესახებ ინფორმაციას საკონკურსო განაცხადში/ანკეტაში.

მ) **ბოლო 5 (ხუთი) წლის** განმავლობაში სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

ნ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით **კლინიკაში მუშაობის** დამადასტურებელი ცნობა (სავალდებულოა **მედიცინის/სტომატოლოგიის** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);

ო) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით **საექიმო საქმიანობის** დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული **სერტიფიკატი** (სავალდებულოა **მედიცინის**/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **კლინიკური კომპონენტის** განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად);

პ) **ნასამართლობის შესახებ ცნობა** (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 32-ე მუხლის მე2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება). საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

10. **ასისტენტის** აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა **კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) - შევსებული რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამოტივაციო წერილი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში);

ე) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

ვ) **ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის** დამადასტურებელი დოკუმენტი (ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული რომელიმე ან რამდენიმე კრიტერიუმების შესაბამისად) - **სავალდებულოა ბსუ-ს** ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტისათვის, ხოლო სხვა ვაკანტური თანამდებობის შემთხვევაში - სასურველია წარმოდგენილი იქნეს, თუკი კონკურსანტი უთითებს ინგლისური ენის ფლობის შესახებ ინფორმაციას საკონკურსო განაცხადში/ანკეტაში.

ზ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის დამადასტუ-რებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული **სერტიფიკატი (სავალდებულოა** მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობების კონკურსის შემთხვევაში);

თ) **ნასამართლობის შესახებ ცნობა** (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება). საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

11. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ **საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, პორტალზე** - www.portal.bsu.edu.ge/jobs და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში (ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია.

12. საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) და საკონკურსო დოკუმენტაციის ასლების ელექტრონულად წარმოდგენის შემდეგ, **კონკურსანტმა საპროცედურო კომისიაში მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს** შემდეგი **საკონკურსო დოკუმენტაცია:**

ა) ელექტრონულად წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ამობეჭდილი ვერსია;
ბ) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);
გ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ) - სავალდებულოა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის საკონკურსო პოზიციისათვის (შენიშვნა: ბსუ-ში დასაქმებული/შრომითი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის შემთხვევაში საკმარისია ელექტრონულ სააპლიკაციო განაცხადის შესაბამის ველში ატვირთვა);
დ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში) - **,,ასისტენტის" საკონკურსო პოზიციისათვის** (შენიშვნა: ბსუ-ში დოქტორანტისათვის საკმარისია ცნობის ელექტრონული სააპლიკაციო განაცხადის შესაბამის ველში ატვირთვა);
ვ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით **კლინიკაში მუშაობის** დამადასტურებელი ცნობა **(სავალდებულოა მედიცინის/სტომატოლოგიის** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);
ზ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული **სერტიფიკატი (სავალდებულოა მედიცინის/სტომატოლოგიის** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);
თ) მედიცინის მიმართულებით განსახორციელებელ (ან ჩატარებულ) კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის (ხელმძღვანელის/მთავარი მკვლევარის/მკვლევარის პოზიციაზე) დამადასტურებელი ცნობა (გაცემული კლინიკური კვლევის განმახორციელებელი დაწესებულების (კლინიკის) ხელმძღვანელის (უფლებამოსილი პირის) მიერ).

13. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდეგ **კონკურსში გამარჯვებულ პირებთან დაიდება შრომითი ხელშეკრულებები** (იხილეთ ამავე ველში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმა) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის გათვალისწინებული **ვადებით** (2026-2027 სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან - 2026 წლის 28 სექტემბრიდან).

14. კონკურსის შედეგად არჩეული **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაო დატვირთვა** და შრომის ანაზღაურების გაცემის პირობები **განსაზღვრულია** უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განხილული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,ბსუ-ს პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესით (შემდეგში -**,,აფილირების წესი"**), რომლის თანახმად, **ბსუ-სთან აფილირებულად მიიჩნევა პირი,** რომელიც: **ა)** დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე **მხოლოდ ბსუ-ში,** არ უკავია სხვა დაწესებულების სამეცნიერო თანამდებობა, ბსუ-ში ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და თავის სამეცნიერო კვლევის შედეგებს უკავშირებს (ეთვლება) მხოლოდ ბსუ-ს; **ბ)** ბსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში; **გ)** აქტიურად არის ჩართული ბსუ-ს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; **დ)** აქტიურად არის ჩართული სტუდენტების აკადემიური კონსულტირების და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში. ბსუ-სთან აფილირებულად ვერ ჩაითვლება პირი, რომელსაც ბსუ-სთან არა აქვს გაფორმებული აფილირების ხელშეკრულება/შეთანხმება ან შეუწყდა, **აფილირების წესის** შესაბამისად.

15. ბსუ-ს დასაქმებულმა (**აკადემიური თანამდებობის პირმა**) შრომითი საქმიანობის პროცესში უნდა გაითვალისწინოს **საქართველოს კანონმდებლობის** (მათ შორის: ,,კორუფციის წინააღმედგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,იმ საქმიანობების/ფუნქციების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განმახორციელებელ/შემსრულებელ პირებსაც უფლება აქვთ, შეთავსებით შეასრულონ ანაზღაურებადი სამუშაო საჯარო სამსახურში, აგრეთვე იმავე დაწესებულებაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებებში" საქართველოს მთავრობის დადგენილება N482, 28.10.2025წ.) **და ბსუ-ს რეგულაციების** მოთხოვნები **შეთავსებით საქმიანობასთან** დაკავშირებით, კერძოდ:

15.1. **,,უმაღლესი განათლების შესახებ"** საქართველოს კანონის **42-ე მუხლის** (,,მუხლი 42. თანამდებობრივი შეუთავსებლობა **სახელმწიფოს** მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში") **მე-4 პუნქტის თანახმად:** ,,4. **აკადემიური,** მასწავლებელთა და *დამხმარე პერსონალის* სამსახურებრივი შეუთავსებლობა, ასევე **შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები** განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **წესდებით.**".

15.2. **ბსუ-ს წესდების 65-ე მუხლის** (,,თანამდებობრივი შეუთავსებლობა") <u>მე-4-5 პუნქტების თანახმად:</u> ,,4. უნივერსიტეტის პერსონალის <u>სამსახურებრივი შეუთავსებლობა</u> განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით, უნივერსიტეტის **შინაგანაწესით**, წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით. 5. **აკადემიური**, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა შეიძლება განისაზღვროს ასევე მათთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულებით.";

15.3. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის და ბსუ-ს წესდების 65-ე მუხლის შესაბამისად შემუშავებული **ბსუ-ს შინაგანაწესის** <u>მე-5 მუხლის</u> (,,თანამდებობრივი შეუთავსებლობა") <u>პირველი და მე-6 პუნქტის</u> **თანახმად:** ,,1. უნივერსიტეტში დასაქმებულთა თანამდებობრივი

შეუთავსებლობა განისაზღვრება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად დადგენილი წინამდებარე შინაგანაწესით."....,,6. **აკადემიური,** სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის **შეთავსებით** მუშაობა უმაღლეს **საგანმანათლებლო ან/და** სხვა დაწესებულებაში, *დასაშვებია დამსაქმებლის თანხმობით,* საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს აფილირების წესის ან/და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით გამოცემული ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით ან/და შრომითი ხელშეკრულებით.".

15.4. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი" (შემდეგში - **,,ბსუ-ს აფილირების წესი")** ადგენს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების პირობებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის რეგულაციას. ამ წესის თანახმად, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს ბსუ-სთან აფილირების გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს **,,ა1", ,,ა2", ,,ბ1", ,,ბ2", ,,ბ3"** ან **,,გ" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) დატვირთვა, მათ შორის **,,გ"** კატეგორიის დატვირთვა (წლიური სავალდებულო დატვირთვის ნახევარი)- მხოლოდ ბსუ-სთან **არაფილირებულ** პირს.

16. **ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის - www.bsu.edu.ge** კონკურსების ველის მეშვეობით, საკონკურსო განცხადებასთან ერთად, კონკურსანტებისათვის **ხელმისაწვდომია გასაცნობად რეგულაციები/საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტები** (ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ,,ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა"; ბსუ-ს შინაგანაწესი; ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა", ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი"; ,,ბსუ-ს პერსონალის **აფილირების,** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი"; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა; საკონკურსო განაცხადების (ანკეტის) ფორმის დამტკიცების ბრძანება და სხვა რეგულაციები, ბსუ-ს ვებგვერდის ველიდან **,,იურიდიული ცნობარი"**).